მოქალაქეობის სწავლება საერთაშორისო

დღეების აღნიშვნის საშუალებით

მოამზადა ნინო გვარამაძემ

მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა საერთაშორისო დღეების (დედამიწის, ქალთა საერთაშორისო, ბავშვთა დაცვის, ადამიანის უფლებების და ა.შ.) აღნიშვნა. გაეროს კალენდარს

თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მასში 55 დღეა მონიშნული. ამ თარიღების (ცხადია, ზოგიერთი მათგანის) აღნიშვნის გამოყენება მოქალაქეობის მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილებზე. უპრიანი იქნება საერთაშორისო დღის აღნიშვნა როცა ის შეესაბამება მიმდინარე სასწავლო თემას/საკითხს. ზოგიერთი თემა, შესაძლოა, რამდენიმე დღის აღნიშვნასთან იყოს კავშირში და ამ დღეების დამთხვევის ალბათობა მიმდინარე თემასთან უფრო მაღალი იყოს. მაგალითად, ჯანსაღი ცხოვრების თემას შეიძლება დაუკავშირდეს ისეთი დღეები, როგორიცაა:

1. 24 მარტი, ტუბერკულოზის მსოფლიო დღე
2. 7 აპრილი, ჯანმრთელობის მსოფლიო დღე
3. 25 აპრილი, მალარიასთან ბრძოლის მსოფლიო დღე
4. 14 ივნისი, სისხლის დონორთა მსოფლიო დღე
5. 10 ოქტომბერი, ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე
6. 1 დეკმბერი, შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე

შენიშვნა: ამ ჩამონათვალში შეგნებულად არ შევიტანეთ 31 მაისი, მსოფლიო თამბაქოს გარეშე დღე და 26 ივნისი, ნარკოტიკების გამოყენებისა და მათი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე. ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის საერთაშორისო სტანდარტების და პრევენციის კურიკულუმის თანახმად კამპანიური ხასიათის ღონისძიებები, მიმართული აღნიშნული მავნე ჩვევების წინააღმდეგ, არაეფექტურია და უკურეაქციასაც კი იწვევს მოზარდებსა და ახალგაზრდებში. ამ მავნე ჩვევებთან ბრძოლა კომპლექსური ხასიათის უნდა იყოს და მკაცრად ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს.

ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და გარემოს დაცვის თემებს შეიძლება დაუკავშირდეს შემდეგი დღეების აღნიშვნა:

1. 22 მარტი, წყლის საერთაშორისო დღე
2. 23 მარტი, მეტეოროლოგიის მსოფლიო დღე
3. 22 მაისი, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე
4. 5 ივნისი, გარემოს დაცვის მსოფლიო დღე
5. 17 ივნისი, გაუდაბნოებასა და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე
6. 16 სექტემბერი, ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე
7. 14 ოქტომბერი, საგანგებო სიტუაციების შემცირების საერთაშორისო დღე

სამშვიდობო პროცესების თემას მიესადაგება:

1. 27 იანვარი, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე
2. 20 ივნისი, ლტოლვილთა მსოფლიო დღე
3. 24 ოქტომბერი, გაეროს დღე
4. 5 დეკემბერი, გაეროს მოხალისეების საერთაშორისო დღე

ცენტრალური ხელისუფლებისა და გლობალური მოქალაქეობის თემების განხილვისას დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების შესწავლა შესაძლებელია დაემთხვას ისეთ თარიღებს, როგორიცაა:

1. 8 მარტი, ქალთა საერთაშორისო დღე
2. 3 მაისი, პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე
3. 26 ივნისი, წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღე
4. 12 აგვისტო, ახალგაზრდების საერთაშორისო დღე
5. 23 აგვისტო, მონებით ვაჭრობისა და მისი გაუქმების ხსოვნის საერთაშორისო დღე
6. 15 სექტემბერი, დემოკრატიის საერთაშორისო დღე
7. 17 ოქტომბერი, სიღარიბის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღე
8. 16 ნოემბერი, ტოლერანტობის საერთაშორისო დღე
9. 25 ნოემბერი, ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე
10. 3 დეკემბერი, ინვალიდთა საერთაშორისო დღე
11. 10 დეკემბერი, ადამიანის უფლებების დღე
12. 18 დეკემბერი, მიგრანტთა საერთაშორისო დღე

რა სარგებელი მოაქვს საერთაშორისო დღეების აღნიშვნას გაკეთილზე?

- საერთაშორისო დღეების არსებობა ამახვილებს ყურადღებას შესაბამის საკითხზე თუ მოვლენაზე.
- იქმნება სივრცე დისკუსიებისთვის?
- მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება უფრო ღრმად შეისწავლონ ესა თუ ის საკითხი ან მოვლენა.

საერთაშორისო დღეების აღსანიშნავად მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს შემდეგი აქტივობები:

- აუხსნას მოსწავლეებს თუ რატომ არის ამ დღის აღნიშვნა საჭირო;
- იმსჯელოს მოსწავლეებთან ერთად თუ რა წინაპირობები უძღოდა ამ დღის დაწესებას;
- წარმართოს დისკუსია მოსწავლეთა შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;
- მოიყვანოს მაგალითები იმ ადამიანებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან შესაბამის საკითხთან თუ მოვლენასთან;
- მოაძებნინოს ინფორმაცია მოსწავლეებს;
- გააკეთებინოს მოსწავლეებს შემოქმედებითი ტიპის დავალება (პოსტერი ან ღია ბარათი) ტექნოლოგიების გამოყენებით ან მათ გარეშე.

შემდეგ ბმულზე https://my.visme.co/view/kk0k330v-sgysgrsgsgrsgsgr

შეგიძლიათ მოძებნოთ საგაკვეთილო აქტივობები თავდასხმისაგან განათლების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გაკვეთილისთვის.

გლობალური მოქალაქეობის სწავლებისთვის აზია-წყნარი ოკეანის საერთაშორისო ურთიერთგაგების განათლების ცენტრის (Asia-Pacific Centre of Education for International Understanding - APCEIU) მიერ შემუშავებულია რესურსი, რომელიც გათვალისწინებულია 72 საერთაშორისო დღის აღნიშვნისთვის GCED Online Campus

აღნიშნულ ვებგვერდზე თვეების მიხედვით არის მოცემული გაკვეთილების გეგმები. რესურსი ინგლისურ ენაზეა. ის, შესაძლებელია, გამოდგეს ინსპირაციისთვის.

საერთაშორისო დღეების აღნიშვნა შეიძლება არაფორმალური განათლების ჩარჩოებშიც. მაგალითად, 16 ნოემბერი - ტოლერანტობის დღეა.

ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ფარგლებში საერთაშორისო დღეების აღნიშვნისას მთავარია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ ამ დღის მნიშვნელობა, რა არსებით ცვლილებებთან არის დაკავშირებული დღის შესაბამისი მოვლენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://ungeorgia.ge/geo/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/calendar
2. GCED Online Campus